ავიცენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 ნოემბრის №01-09/27 ბრძანების დანართი №1

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა

2022

სარჩევი

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2.	უნივერსიტეტში სოციალური მხარდაჭერის სერვისები	1
მუხლი 3.	სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	1
მუხლი 4.	სტუდენტთა უცხო ქვეყანაში ინტეგრაციის მხარდაჭერა	2
მუხლი 5.	სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა	2
მუხლი 6.	სოციალურ საკითხთა საბჭო	3
მუხლი 7.	სტუდენტური სოციალური მხარდაჭერის პროექტები	4
მუხლი 8.	დასკვნითი დებულებები	4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. **შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“** (შემდეგში - „უნივერსიტეტი“ ან „ავიცენა“) სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა (შემდეგში - „პოლიტიკა“) ადგენს უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირების, სწავლის პერიოდში წარმოშობილი სოციალური შინაარსის პრობლემებზე რეაგირებისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამართლიან, ობიექტურ და გამჭვირვალე მექანიზმებს.

1.2. წინამდებარე პოლიტიკის მთავარი მიზანია უნივერსიტეტის მიზნების და ორგანიზაციის სოციალური როლის ეფექტურად რეალიზებას სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად ჩართვის შენარჩუნების ხელშეწყობით, სტუდენტის არსებულ პრობლემებთან გამკვლავებისა და სწავლის პერიოდში შესაძლო გართულებების პრევენციის ან/და წარმოქმნილ პრობლემებზე უნივერსიტეტის რეაგირების და მხარდაჭერის ინსტრუმენტების ამოქმედებით.

1.3. პოლიტიკა გამომდინარეობს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მისიიდან, ღირებულებებიდან და ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან.

1.4. სტუდენტთა კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და მათი რეალიზების ხელშეწყობის მექანიზმები განისაზღვრება უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. უნივერსიტეტში სოციალური მხარდაჭერის სერვისები

2.1. უნივერსიტეტში სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა) სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;

ბ) სტუდენტთა უცხო ქვეყანაში ინტეგრაციის მხარდაჭერა;

გ) სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

3.1. უნივერსიტეტის სტუდენტების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საკვანძო მიმართულებები მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის სტრესთან და პროფესიულ გადაწვასთან, მედიცინის პროფესიონალისთვის აუცილებელი ემპათიისა და პროფესიული ღირებულებების დაცვის სტრესთან, უცხო ქვეყნის სტუდენტებისთვის - ნაცნობ სოციალურ გარემოსთან განშორების და უცხო ქვეყანასა და გარემოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სტრესულ სიტუაციებთან, სასკოლო გარემოს შემდეგ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების გამოწვევებთან და მსგავსი სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემებთან გამკვლავებას, ორგანიზებულ გარემოში, დარგის პროფესიონალების მხარდაჭერითა და ზედამხედველობით.

3.2. სტრესთან გამკვლავების და არსებულ პრობლემებზე რეაგირების პარალელურად ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საკუთარ თავზე მუშაობა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის, მოტივაციის, საკუთარი თავისა და დროის მართვის უნარების განვითარება, რისთვისაც უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს სტუდენტებს პროფესიონალებთან ერთად მუშაობისა და განვითარების შესაძლებლობებს.

3.3. სტუდენტთა ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული სტრუქტურული ერთეული - ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესების სამსახური.

3.4. ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინტრპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის (weelbeing) და პერსონალური განვითარების მიმართულებით ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, გონება-სხეულის პროგრამებს, ტრენინგებს, ვორქშოპებს და კანონმდებლობით ნებადართული ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს.

3.5. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტის რეფერირება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის შესაბამის პროვაიდერთან.

3.6. ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინტრპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესების სამსახურის მომსახურება უსასყიდლოა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

მუხლი 4. სტუდენტთა უცხო ქვეყანაში ინტეგრაციის მხარდაჭერა

4.1. სტუდენტთა უცხო ქვეყანაში ინტეგრაციის მხარდაჭერა მოიცავს როგორც სტუდენტების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, საქართველოს, აჭარის რეგიონის, ბათუმისა და უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მოწოდებით, ასევე ჩარიცხვის უფლების მოპოვების, სავიზო აპლიკაციის, საზღვრის კვეთის, დაბინავების და დაზღვევის სერვისების შეთავაზებას, უნივერსიტეტის თუ მისი პარტნიორი ორგანიზაციების საშუალებით.

4.2. სტუდენტთა ინფორმაციულ მხარდაჭერას უნივერსიტეტში აპლიკაციის წარმოდგენიდან უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე პერიოდში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური.

4.3. სტუდენტისთვის მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი და ზუსტი.

4.4. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს და ყოველგვარი საზღაურის გარეშე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურიდან მიიღოს ნებისმიერი რელევანტური და სამსახურისთვის ხელმისაწვდომი ან მოძიებადი ინფორმაცია.

4.5. ჩარიცხვის უფლების მოპოვების, სავიზო აპლიკაციის, საზღვრის კვეთის, დაბინავების, აკომოდაციის და დაზღვევის სერვისების შეთავაზება უნივერსიტეტისა თუ მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესაძლებელია ითვალისწინებდეს მომსახურების საფასურს, რომლის ოდენობა დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული სერვისებით სარგებლობა არ წარმოშობს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას მესამე პირთა (მათ შორის, სახელმწიფო უწყებების მიერ) მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 5. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა

5.1. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა შესაძლებელია ითვალისწინებდეს:

ა) სწავლის საფასურის გადახდის მოკლე ვადით (არაუმეტეს 1 თვე) გადავადებას;

ბ) სწავლის საფასურის გადახდის ხანგრძლივი ვადით (1 თვიდან 1 წლამდე ვადით) გადავადებას;

გ) სწავლის საფასურის ოდენობის შემცირებას;

დ) სტუდენტისთვის სტიპენდიის დანიშვნას;

ე) სტუდენტის ტრენინგი/კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსება.

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, სტუდენტის დასაბუთებული მომართვის შესწავლის და მომართვაზე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის რეკომენდაციის შეფასების შედეგად გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება **სოციალურ საკითხთა საბჭოს** მიერ სტუდენტის დასაბუთებული მოთხოვნის შესწავლისა და შეფასების შედეგად. გადაწყვეტილება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

5.4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიიღება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სასტიპენდიო დაფინანსების ფარგლებში და პირობებით, სოციალურ საკითხთა საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. სოციალურ საკითხთა საბჭო

6.1. უნივერსიტეტი, აღიარებს რა, რომ სოციალურ საკითხთა წრე არ არის ამომწურავი, და თითოეული სტუდენტის საჭიროებას ინდივიდუალური შესწავლა და შეფასება ესაჭიროება, სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის საკითხის შესწავლისა და შეფასების უფლებამოსილებას ანიჭებს ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ორგანოს - სოციალურ საკითხთა საბჭოს.

6.2. სოციალურ საკითხთა საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. საბჭო შედგება არანაკლებ 3 წევრისგან და მის შემადგენლობაში თანაბარი წილით შედიან:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი;

გ) უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი (სტუდენტთა მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი ან სტუდენტური ომბუდსმენი).

6.3. სოციალურ საკითხთა საბჭო ვალდებულია შეისწავლოს ნებისმიერი სტუდენტის დასაბუთებული მოთხოვნა ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე. საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრის მიზნით საბჭო უფლებამოსილია გამოითხოვოს უნივერსიტეტში დაცული ინფორმაცია ან/და მოსთხოვოს სტუდენტს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა.

6.4. სოციალურ საკითხთა საბჭო ვალდებულია თითოეული საკითხის შეფასებისას განსაზღვროს, თუ რამდენად ექნება სტუდენტის ფინანსურ მხარდაჭერას დადებითი გავლენა სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად ჩართვაზე, ასევე რამდენად უშუალოა სოციალური გარემოებების გავლენა სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობაზე.

6.5. სოციალური საკითხთა საბჭო ხმათა უმრავლესობით იღებს რეკომენდაციას მის მიერ განხილულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 7. სტუდენტური სოციალური მხარდაჭერის პროექტები

7.1. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, ამ პოლიტიკის განსაზღვრული სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების გარდა, უფლებამოსილია საკუთარი დებულებით განსაზღვროს და თავისი ბიუჯეტის ფარგლებში განახორციელოს სხვა სოციალური აქტივობები.

7.2. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტები არ ანაცვლებს უნივერსიტეტის ვალდებულებას სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერისადმი, რომლებიც დადგენილია ამ პოლიტიკით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის მიღებისა და მათი რაოდენობის ზრდის პროპორციულად, უნივერსიტეტი განსაზღვრავს სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს.

8.2. პოლიტიკა ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.